# შპს „ნოვა“

(ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №261)

## კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა

## 2026-2028

2026

შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“

ENSECO / ენსეკო

ტელ: 511 19 19 00 info@enseco.

სარჩევი

საკანონმდებლო საფუძველი ........................................................................................................ 5
ნარჩენების მართვის  გეგმის მიზნები და ამოცანები ............................................................................ 6
ნარჩენების მართვის იერარქია და პრინციპები ................................................................................ 7
მართვის მოდელი ........................................................................................................................... 8
ნარჩენების კლასიფიკაცია ............................................................................................................. 8
ნარჩენების მართვა 2026-2028 წლები ........................................................................................... 11
ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები ..................... 18
წარმოქმნილი ნარჩენების მართვა და ანგარიშგება ......................................................................... 18
წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება, განთავსება, მარკირება ...................................................... 19
ნარჩენების დროებით შენახვის მეთოდები და პირობები ............................................................. 20
ნარჩენების უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი მოთხოვნები ............................................................ 23
პასუხისმგებლობა ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ..................................................... 24
ნარჩენების მართვის გეგმის მონიტორინგი .................................................................................... 26

| | | | |
|---|---|---|---|
| I | შესავალი | | |
| | **შპს „ნოვა"-** (ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №261) ნარჩენების მართვის გეგმა გათვლილია 3 წელიწადზე და მოიცავს 2025-2026-2027 წლების პერიოდს. გეგმა მომზადებულია საქართველოს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძველზე. | | |
| II | ინფორმაცია კომპანიის შესახებ | | |
| 1 | **კომპანია** | შპს „ნოვა" | |
| 2 | **სამართლებლივი ფორმა** | შპს | |
| 3 | **მისამართი** | იურ | საქართველო, ქ. თბილისი, რ. აგლაძის ქ.#45 |
| | | ფაქტ | ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №261 |
| 4 | **რეგისტრაციის თარიღი** | 08/11/2006 | |
| 5 | **საიდენტიფიკაციო კოდი** | 202358126 | |
| 6 | **დირექტორი/წარმომადგენილი** | ედიშერ ხიმშიაშვილი<br>591 06 08 59<br>m.makaradze@nova.ge | |
| 7 | **გარემოსდაცვითი მმართველი** | | |
| 8 | **საქმიანობის აღწერა** | შპს „ნოვა"-ს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება პოლიეთილენის ფხვნილის დამუშავების გზით პოლიეთილენის პროდუქციის, მათ შორის წყლის ავზების წარმოება და სხვადასხვა ფორმის პროფილების დამამზადებელი საამქრო, ასევე, ტერიტორიაზე განთავსებულია სახურავების დამამზადებელი საამქრო, მეტალოკრამიტის დამამზადებელი საამქრო, სახურავის აქსესუარების დამამზადებელი საამქრო, შენობის ფასადის მოსაპირკეთებელი მასალის დამამზადებელი საამქრო, სახარატე საამქრო.<br>საწარმოო ობიექტი მდებარეობს ქ. ბათუმში აეროპორტის გზატკეცილის № 261-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.06.948);<br>პოლიეთილენის პროდუქციის დამამზადებელი საწარმოს ოპერირებაზე გარემოსდაცვითი სამართლებრივი უფლების მოპოვების შემდგომ წარმოების ოპტიმიზაციის მიზნით, შპს „ნოვა"-ს მიერ დაიგეგმა ტექნოლოგიური პროცესების ცვლილება, ასევე სხვადახვა საამქროს დამატება და წარმადობის | |

| | | |
|---|---|---|
| | | გაზრდა.<br><br>ვინაიდან, საწარმო გეგმავს წარმადობის გაზრდას, ასევე იგეგმება სხვადასხვა საამქროს მოწყობა: სამღებრო საამქრო, შავი მეტალის საამქრო, წებოცემენტის ტომრების გადასაფუთი დანადგარის მოწყობა, ჯართის საპრესი დანადგარის მოწყობა; |

## საკანონმდებლო საფუძველი :

**შპს "ნოვა"**-ს (მის: ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №261) ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებულია ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი (120კგ+) ან ფიზიკური პირის შემთხვევაში – 1 000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – 400 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი, ვალდებულია შეიმუშაოს კომპანიის „ნარჩენების მართვის გეგმა" და განსაზღვროს კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველი.

ნარჩენების მართვის გეგმა მოიცავს კომპანიის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების ინდენტიფიკაციის, კლასიფიკაციის, შეგროვების, მოპყრობის, გადაცემის, ტრანსპორტირების და ნარჩენების მართვის ჯაჭვში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობებს გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

ნარჩენების მართვის პროცესის ძირითადი ამოცანებია:

- წარმოქმნილი ნარჩენების იდენტიფიკაციის უზრუნველყოფა (კერძოდ, სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრა და კლასიფიკაცია)
- ნარჩენების ნუსხით განსაზღვრული კომპანიის საქმიანობისას წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების, შემადგენლობის, რაოდენობის განსაზღვრა;
- ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრა განსაკუთრებით – სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში;
- წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა, რომლის დროსაც გამორიცხული უნდა იქნას ნარჩენების გაფანტვა, დაკარგვა, ავარიული სიტუაციების შექმნა;
- ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდებსა და პირობების განსაზღვრა;
- ნარჩენების ტრანსპორტირების პირობების უზრუნველყოფა, მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განსაზღვრა, რათა გამოირიცხოს ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე;

- ნარჩენების გაუვნებელყოფის, გადამუშავების ან უტილიზაციის დროს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი მეთოდების გამოყენების უზრუნველყოფა;
- ნარჩენების რაოდენობის შემცირება;
- ნარჩენების მეორადი გამოყენება;
- ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა;
- ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობის განსაზღვრა;
- საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების აღრიცხვის უზრუნველყოფა;
- ნარჩენებზე კონტროლის მეთოდების განსაზღვრა.

დოკუმენტში მოცემული მითითებების შესრულება სავალდებულოა ობიექტის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და სხვა პერსონალისთვის.

## ნარჩენების მართვის გეგმის მიზნები და ამოცანები :

ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია უზრუნველყოს კომპანიის ძირითად და ფუნქციონალურ ობიექტებზე წარმოქმნილი სახიფათო და არა სახიფათო ნარჩენების განკარგვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, რის შედეგადაც უნდა გამოირიცხოს ან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარემოს(ნიადაგის, წყლის ობიექტების, ატმოსფერული ჰაერის) ნარჩენებით დაბინძურება.

წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმა წარმოადგენს საკმაოდ დეტალურად დამუშავებულ, დოკუმენტს.

წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმა ადგენს კომპანიის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, განთავსების, გაუვნებელყოფის და უტილიზაციის წესებს, გარემოსდაცვითი, სანიტარულიჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

ნარჩენების მართვის პროცესის ძირითადი ამოცანებია:

- ნარჩენების იდენტიფიკაციის უზრუნველყოფა, მათი სახეების მიხედვით;
- ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა, მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვა, რათა გამოირიცხოს ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე;
- ნარჩენების ტრანსპორტირების პირობების უზრუნველყოფა, რომლის დროსაც გამორიცხული უნდა იქნას ნარჩენების გაფანტვა, დაკარგვა, ავარიული

სიტუაციების შექმნა, გარემოსა  და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება;

- გაუვნებლობის, გადამუშავების ან უტილიზაციის დროს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი მეთოდების გამოყენება;
- ნარჩენების რაოდენობის შემცირება;
- ნარჩენების მეორადი გამოყენება;
- ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა;
- საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების აღრიცხვის უზრუნველყოფა;
- წინამდებარე გეგმა მოიცავს კომპანიის დაგეგმილი საქმიანობის ყველა სახეს, ყველა ობიექტზე, რომლის დროსაც წარმოიქმნება ნარჩენები, როგორც ნორმალურ საექსპლოატაციო პირობებში ასევე ავარიული სიტუაციის დროს.

გეგმაში მოცემული პირობებისა და ვალდებულებების შესრულება სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის  ყველა ტერიტორიული ერთეულის და კონტრაქტორისათვის.

## ნარჩენების მართვის იერარქია და პრინციპები:

საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკა და ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება ნარჩენების მართვის შემდეგ იერარქიას:

- პრევენცია;
- ხელახალი გამოყენებისათვის მომზადება;
- რეციკლირება;
- სხვა სახის აღდგენა, მათ შორის ენერგიის აღდგენა;
- განთავსება.

ნარჩენების მართვის იერარქიასთან მიმართებით კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

- ეკოლოგიური სარგებელი;
- შესაბამისი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენებით
- ტექნიკური განხორციელებადობა;
- ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთის შექმნის გარეშე, კერძოდ ისე , რომ ნარჩენების მართვამ საფრთხე არ შეუქმნას წყალს, ჰაერს, ნიადაგს, ფლორას და ფაუნას; არ გამოიწვიოს ზიანი ხმაურითა და სუნით; არ მოახდინოს უარყოფითი გავლენა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით-დაცულ ტერიტორიაზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე.

ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“-მიღებული უნდა იქნას ზომები გარემოსათვის ნარჩენებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაშინაც კი თუ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული მონაცემები.
- პრინციპი „დამაბინძურებელი იხდის:- ნარჩენების წარმომქმნელი ან ნარჩენის მფლობელი ვალდებულია გაიღოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები;
- „სიახლოვის პრინციპი“- ნარჩენები უნდა დამუშავდეს ყველაზე ახლოს მდებარე ნარჩენების დამუშავების ობიექტზე, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით;

- „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“ – უნდა ჩამოყალიბდეს და ფუნქციონირებდეს მუნიციპალური ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის ობიექტების ინტეგრირებული და ადეკვატური ქსელი.

## მართვის მოდელი :

ნარჩენების მართვაში გამოიყენება ნარჩენების მართვის იერარქიის მოდელი. იერარქიის მოდელი ნარჩენების მართვაში, რომელიც გულისხმობს ნარჩენების მართვისას სხვადასხვა სახის საქმიანობის პრიორიტეტიზაციას ოპტიმალობის თვალსაზრისით.

როგორც ზოგადი წესი, აღიარებულია, რომ საუკეთესო ვარიანტი ყოველთვის ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებაა, რასაც მოსდევს რაოდენობისა და საფრთხის მინიმიზაცია.

## ნარჩენების კლასიფიკაცია :

ნარჩენების მართვის კოდექსი [მუხლი 3] განსაზღვრავს ტერმინი ნარჩენის მნიშვნელობას, კერძოდ ნარჩენი არის ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს [პუნქტი "ა"].

ნარჩენების მართვის შემდგომი ღონისძიებები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის კლასიფიკაციაზე, რომელიც უნდა მოხდეს მათი წარმოქმნის ადგილზე. ნარჩენების სეგრეგაცია, მათი შენახვის წესების დაცვა, და ბოლოს, დამუშავება/განადგურება – ყოველივე ეს მოითხოვს ნარჩენების ზუსტ კლასიფიკაციას.

ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მოახდინოს არსებული ნარჩენების კლასიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის და სტანდარტების შესაბამისად [1] . იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების კლასიფიკაციის ზოგადი

[1] საქართველოს კანონი. ნარჩენების მართვის კოდექსი. 2015 წ 15 იანვარი; „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 2015 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი.

მეთოდოლოგია ვერ იქნება ამომწურავი, მაშინ ნარჩენების კლასიფიკაციის უზრუნველსაყოფად ტარდება ნარჩენების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა. ცხრილებში 1 და 2 მოცემულია ნარჩენების კლასიფიკაცია და მისი განმსაზღვრელი მახასიათებლები განსაზღვრული საქართველოს ნარჩენების კოდექსით და ევრო დირექტივებით.

ცხრილი 1. ტერმინთა განმარტება

| ნარჩენის სახეობა | განსაზღვრება |
|---|---|
| არასახიფათო ნარჩენები | ნარჩენები, რომლებსაც არ მოიცავს „სახიფათო ნარჩენების" განმარტება |
| საყოფაცხოვრებო ნარჩენები | საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები; |
| მუნიციპალური ნარჩენები | საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია |
| ინერტული ნარჩენები | ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს – არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას |
| ბიოდეგრადირებადი ნარჩენები | ბიოდეგრადირებადი ნარჩენები – ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას |
| თხევადი ნარჩენები | თხევად მდგომარეობაში არსებული ნარჩენები |
| სპეციფიკური ნარჩენი | ისეთი პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენი, რომელიც თავისი მახასიათებლებისა და ფართო გავრცელების გამო ნარჩენად გადაქცევის შემდეგ მართვის სპეციფიკური ზომების მიღებასა და მოვლას საჭიროებს (შეფუთვა, ზეთი, საბურავი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, ბატარეა, აკუმულატორი, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები და სხვა) |

ცხრილი 2. ნარჩენების კლასიფიკაციის და განმსაზღვრელი მახასიათებლები ევროდირექტივების მიხედვით

| ნარჩენის სახეობა | განსაზღვრებები |
|---|---|
| ინერტული | ევროგაერთიანების 1999/31/EEC დირექტივის მე-2 მუხლში მოცემული განსაზღვრების შესაბამისად, წარმოადგენს ნარჩენებს, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს. ინერტული ნარჩენები არ იხსნება, არ იწვის და არ ავლენს რაიმე სხვა სახის ფიზიკურ ან ქიმიურ რეაქციას; არ იხრწნება და უარყოფითად არ მოქმედებს რაიმე სხვა მატერიაზე, რომელთანაც შეხება აქვს; არ იწვევს გარემოს დაბინძურებას და არ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას. ამგვარი |

| | |
|---|---|
| | ნარჩენების დამაბინძურებელი ეფექტი და ეკოტოქსიკურობა უმნიშვნელო უნდა იყოს და არ უქმნის საფრთხეს მიწისზედა და/ან მიწისქვეშა წყლების ხარისხს. |
| სახიფათო | ნარჩენები, რომლებიც განსაზღვრულია 91/689 დირექტივის 1(4) მუხლში და გააჩნია შემდეგი პოტენციური თვისებები: «ფეთქებადი», მჟავიანობა, ძალიან აალებადი ან აალებადი, გამაღიზიანებელი, ტოქსიკური, კანცეროგენული, კოროზიული, ინფექციური, ტერატოგენური, მუტაგენური; ჰაერთან, წყალთან ან მჟავასთან კონტაქტისას გამოყოფს ძალიან ტოქსიკურ ან ტოქსიკურ გაზებს; ნივთიერებები, რომლებსაც განადგურებისას შეუძლია წარმოშვას სხვა ნივთიერებები და ეკოტოქსიკური ნივთიერებები. |
| არა სახიფათო | ნარჩენები, რომლებიც ზემოთაღწერილ განსაზღვრებას არ შეესაბამება. |

## ნარჩენების მართვა 2026-2028 წლები:

| ნარჩენის კოდი | ნარჩენის დასახელება | მდგომარეობა | სახიფათო დიახ/არა | ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების წლების მიხედვით (ტონა) | | | კონტრაქტორი | R/D | ბაზელის კონვენციის კოდი (Y) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2026 | 2027 | 2028 | | | |
| 07 02 13 | პლასტმასის ნარჩენი (პოლიეთილენის ავზების მზა პროდუქციის ამონაჭრები, წუნდებული პოლიეთილენის ავზები) | მყარი | არა | 15 ტ | 18 ტ | 15 ტ | შპს “ზუგო”<br><br>ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა: №54; 01.09.2015 განთავსდება არა სახიფათო ნარჩენების უბანზე | R3 | – |
| 08 01 11* | ნარჩენი საღებავი და ლაქი, რომელიც შეიცავს ორგანულ გამხსნელებს ან სხვა საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს | მყარი | დიახ<br>H 10<br>რეპროდუქციისთვის ტოქსიკური | 300 კგ/წელ | 500 კგ/წელ | 500 კგ/წელ | შპს “სანიტარი” ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა: №71; 06.10.2017, განთავსდება სახიფათო ნარჩენების უბანზე | D10 | Y12 |
| 12 01 10* | სინთეტური მექანიკური დამუშავების ზეთები/საპოხი მასალა | თხევადი | დიახ<br>H 1<br>ფეთქებადი | 3000 კგ/წელ | 5000 კგ/წელ | 7000 კგ/წელ | კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა ააიპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ ნარჩენების | R<br>13 | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | შემოგრევებლ კომპანიას შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დროებითი განთავსების მიზნით შპს „ალტერვეისტს“ ს/კ: 405383936; სკრინინგის გადაწყვეტილება: “N 2-519” 23.04.2021; | | |
| 12 01 05 | პლასტმასის ნაწილაკები | მყარი | არა | 1000 კგ/წელ | 1000 კგ/წელ | 1000 კგ/წელ | შპს “ზუგო” ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა: №54; 01.09.2015 განთავსდება არა სახიფათო ნარჩენების უბანზე | R3 | |
| 13 01 11 * | სინთეზური ჰიდრავლიკური ზეთები | თხევადი | დიახ<br>H 14 ეკოტოქსიკური | 1000 კგ/წელ | 1500 კგ/წელ | 1500 კგ/წელ | ა (ა) იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“ კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: | R 13 | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 3286901274. ხოლო საბოლოო დროებითი განთავსების მიზნით შპს „ალტერვეისტს“ ს/კ: 405383936; სკრინინგის გადაწყვეტილება: “N 2-519” 23.04.2021; განთავსდება სახიფათო ნარჩენების უბანზე. | | |
| 13 02 06* | ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები | თხევადი | დიახ H 14 ეკოტოქსიკური | 1000 კგ/წელ | 2000 კგ/წელ | 3000 კგ/წელ | ა (ა) იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“ კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დროებითი განთავსების მიზნით შპს „ალტერვეისტს“ ს/კ: 405383936; სკრინინგის გადაწყვეტილება: “N 2-519” 23.04.2021; განთავსდება სახიფათო ნარჩენების უბანზე. | R 13 | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 01 01 | ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა | მყარი | არა | 10 ტ/წელ | 10 ტ/წელ | 10 ტ/წელ | შპს “ჯორჯიან ფეიფერ პროდაქშენ”, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N62; 06.12.2016. - ნარჩენების აღდგენა, ქაღალდის ნარჩენების გადამუშავება | R3 | |
| 15 01 02 | პლასტმასის შესაფუთი მასალა | მყარი | არა | 3ტ/წელ | 3ტ/წელ | 3ტ/წელ | შპს “ზუგო” ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა: №54; 01.09.2015 განთავსდება არა სახიფათო ნარჩენების უბანზე | R3 | Y17 |
| 15 02 02* | აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთირებებით | მყარი | დიახ H 9 ინფექციური | 500 კგ/წელ | 500 კგ/წელ | 500 კგ/წელ | შპს “სანიტარი” ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა: №71; 06.10.2017, განთავსდება სახიფათო ნარჩენების უბანზე | D10 | Y1 |
| 15 01 10 | შესაფუთი მასალა, რომელიც შეიცავს საშიში ქიმიური ნივთირებების ნარჩენებს ან/და | მყარი | დიახ H 1 | 1500 კგ/წელ | 1500 კგ/წელ | 1500 კგ/წელ | შპს “სანიტარი” ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა: №71; 06.10.2017, განთავსდება | D10 | Y1 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთირებებით (საღებავების, საღებავის გამხსნელის ტარა და სხვ.) | | | | | | სახიფათო ნარჩენების უბანზე | | |
| 20 01 21* | ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები | მყარი | დიახ H2 მჟანგავი | 40 კგ/წელ | 40 კგ/წელ | 40 კგ/წელ | შპს “სანიტარი” ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა: №71; 06.10.2017, განთავსდება სახიფათო ნარჩენების უბანზე | D 9 | _ |
| 20 01 34 | შერეული ბატარეები და აკუმულატორები, მათ შორის 16 06 01, 16 06 02 ან 16 06 03 პუნქტებით განსაზღვრული ნარჩენების ჩათვლით | მყარი | არა | 500 კგ/წელ | 700 კგ/წელ | 700 კგ/წელ | 1კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა ააიპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ ნარჩენების შემოგრევებლ კომპანია შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „ჯეო სტილი“ ს/კ: 404578319; | R 4 | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | ნებართვა: “ბრძანება N 2-818 23.08.2019 | | |
| 16 01 03 | განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები | მყარი | არა H5 | 300 ცალი | 300 ცალი | 300 ცალი | შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა ააიპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ასოციაციის“ ნარჩენების შემოგრევებლ კომპანია შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „ჯეო სტილი“ ს/კ: 404578319; ნებართვა: “ბრძანება N 2-818 23.08.2019 | R 4 | |
| 17 04 07 | შერეული ლითონები (ჯართი) | მყარი | არა | 3 ტ | 3 ტ | 3 ტ | შპს „ჯეო სტილი“ ს/კ: 404578319; ნებართვა: “ბრძანება N 2- 818 23.08.2019 | R 4 | |
| 12 01 03 | ფერადი ლითონების ჩარხვის და ქლიბვის ნარჩენები | მყარი | არა | 181 ტ | 182 ტ | 182ტ | შპს „ჯეო სტილი“ ს/კ: 404578319; ნებართვა: | R 4 | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | “ბრძანება N 2- 818 23.08.2019 | | |
| 12 01 04 | ფერადი ლითონების ნაწილაკები | მყარი | არა | 181 ტ | 182 ტ | 182ტ | შპს „ჯეო სტილი“ ს/კ: 404578319; ნებართვა: “ბრძანება N 2- 818 23.08.2019 | R 4 | |
| 19 12 03 | დაპრესილი ფერადი ლითონი | მყარი | | 362 | 362 | 362 | შპს „ჯეო სტილი“ ს/კ: 404578319; ნებართვა: “ბრძანება N 2- 818 23.08.2019 | R 4 | |
| 20 03 01 | შერეული მუნიციპალური ნარჩენები | მყარი | არა | 20 ტ/წელ | 20 ტ/წელ | 20 ტ/წელ | შპს“სანდასუფთავება”, განთავსდება არასახიფათო ნარჩენების უბანზე | D1 | |

## ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები

ნარჩენების პრევენციისა და აღდგენის მიზნით, გათვალისწინებული იქნება შემდეგი სახის ღონისძიებები :

- ✓ კომპანიისთვის საჭირო მასალების, ნივთიერებების, ნივთების და სხვ. შესყიდვისას უპირატესობა მიენიჭება გარემოსთვის უსაფრთხო და ხარისხიან პროდუქციას;
- ✓ არ მოხდება ტერიტორიაზე ნარჩენების ხანგრძლივი დროით დასაწყობება;
- ✓ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ერთმანეთში შერევის თავიდან აცილების მიზნით, შემოღებული იქნება ნარჩენების სეპარაციის მკაცრი სისტემა;
- ✓ მოხდება სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო განთავსება, რათა არ წარმოიშვას ჯანმრთელობისთვის რისკი და გარემოს დაბინძურების შემთხვევა თავიდან იქნეს აცილებული;
- ✓ აკრძალული იქნება: სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება; ნარჩენების შეგროვება კონტეინერის გარეთ; მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება; სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე; სახიფათო ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ინსინერატორის გარეთ დაწვა;
- ✓ ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი იქნება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი;
- ✓ სისტემატურად მოხდება პერსონალის ტრეინინგი ნარჩენებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## წარმოქმნილი ნარჩენების მართვა და ანგარიშგება

ნარჩენების მართვის კოდექსი (2015 წ) [მუხლი 29] კომპანიას ავალდებულებს აწარმოოს ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგება სამინისტროს წინაშე და ნარჩენების შესახებ მონაცემები შეინახოს 3 წლის განმავლობაში.

ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმა და შინაარსი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით - საქართველოს მთავრობის დადგენილება №422. 2015 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“. აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების შევსება და სამინისტროში წარდგენა იწარმოებს ელექტრონული ფორმით, ნარჩენების მონაცემთა ბაზაში. წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა/რეგისტრაცია, დასაწყობების და შემდგომი მართვის პროცესების აღწერა ასევე მოხდება ჟურნალში, რომელიც

იქნება აკინძული და დანომრილი. ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო და მოიცავდეს საკმარის ინფორმაციას, კერძოდ: ნარჩენის კოდს, დასახელებას, სახიფათოობას (დიახ/არა) და სახიფათოობის მახასიათებელს, რაოდენობას, ზომის ერთეულს და სხვ.

## წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება, განთავსება, მარკირება

წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება, განთავსება, მარკირების განხორციელების პროცესში ორგანიზებული და დანერგილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, მათი სახეობის და სახიფათოობის მახასიათებლის მიხედვით:

- ✓ ტერიტორიაზე, შესაბამის უბნებზე დადგმულია პლასტმასის/ლითონის კონტეინერები ნარჩენების შესაგროვებლად;
- ✓ მყარი სახიფათო ნარჩენები, როგორიცაა მყარი ნარჩენები, ჩვრები და სხვა საწმენდი საშუალებები განთავსდება მათთვის გამოყოფილ სპეციალურ კონტეინერში, რომლებიც განთავსებული იქნება ნარჩენების წარმოქმნის უბანთან ახლოს, დროებითი დასაწყობების ტერიტორიაზე, შემოღობილ ფართში;

აკრძალული იქნება:

- ✓ ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე ხანგრძლივი დაგროვება;
- ✓ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება;
- ✓ თხევადი და მყარი სახიფათო ნარჩენების ერთმანეთში შერევა;
- ✓ სახიფათო ნარჩენების შერევა სხვა სახის ნარჩენებთან, მისი ნეიტრალიზაციის მიზნით;
- ✓ თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე;
- ✓ სახიფათო ნარჩენების მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება/გადაღვრა.

კომპანიის ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერების მარკირება შესაბამისი წარწერებით ან ნიშნებით, რათა შესაძლებელი გახდეს მათი შიგთავსის განსაზღვრა და ზუსტად აღწერა. ეს ასევე აუცილებელია ნარჩენების მართვისა და უსაფრთხოების წესების დაცვისათვის. სახიფათო ნარჩენის შეფუთვაზე უნდა განთავსდეს ეტიკეტი, სადაც დატანილი იქნება სახიფათოობის აღმნიშვნელი ნიშანი.

✓

აღნიშნული უნდა განხორციელდეს შემდეგი წესების დაცვით:

- ✓ კონტეინერებზე, სადაც განთავსდება სახიფათო ნარჩენები დატანილი იქნება შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები;
- ✓ იმ ადგილებში სადაც განთავსებული იქნება სახიფათო ნარჩენები და ამ ტერიტორიაზე დამცავი საშუალებების გარეშე შესვლა აკრძალულია - დატანილი იქნება შესაბამისი, მაფრთხილებელი ნიშნები;
- ✓ საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებზე დატანილი იქნება შესაბამისი ნიშნები;
- ✓ ადგილები, სადაც ნარჩენები დროებით განთავსდება (განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში) მარკირებული იქნება შესაბამის მაფრთხილებელი ნიშნებით;
- ✓ ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებიდან მოიხსნება და ახლით ჩანაცვლდება მასზე, მანამდე არსებული ნიშნები;
- ✓ ყველა ნიშანი, რომელიც დატანილი იქნება ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებსა და დროებითი განთავსების ადგილებზე, უნდა იკითხებოდეს ადვილად, რათა პერსონალმა ადვილად შეძლოს ნიშნების შინაარსის გაგება;
- ✓ მაფრთხილებელი ნიშნები შესრულებული უნდა იყოს ქართულ და იმ უცხოურ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში), რომელიც გასაგები იქნება კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის.

## ნარჩენების დროებით შენახვის მეთოდები და პირობები

- ✓ დაგეგმილი საქმიანობის პროცესში წარმოქმნის მიხედვით სახიფათო ნარჩენების მენეჯმენტი ითვალისწინებს მათ დროებით შენახვას ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდით, შემდგომ გატანამდე.
- ✓ ნარჩენების დროებითი შენახვის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პირობები:
- ✓ ნარჩენების ზღვრულად დასაშვები მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს ინვენტარიზაციის მონაცემებს;
- ✓ საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ყველა სახის სახიფათო ნარჩენი სეპარირდება ცალკე არასახიფათო ნარჩენებისგან;
- ✓ სახიფათო ნარჩენები განთავსდება სპეციალურად შერჩეულ კონტეინერებში;
- ✓ მყარი და თხევადი ნარჩენების ერთმანეთში არევა არ მოხდება;
- ✓ სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი დროებითი დასაწყობების ტერიტორიები მოეწყობა საკვებისთვის განკუთვნილი ადგილებისგან მოშორებით;

- ✓ უნდა გამოირიცხოს შემთხვევითი გაჟონვით ან დაღვრით, ნიადაგისა ან გრუნტის წყლების დაბინძურება;
- ✓ უნდა გამოირიცხოს ნარჩენების გაფანტვა ქარის მიერ;

- ✓

  კონტეინერების დაზიანება, კოროზია ან ცვეთა; რისთვისაც უნდა შეირჩეს შესაბამისი მასალისაგან დამზადებული კონტეინერები;
- ✓ ნარჩენების კონტეინერები უნდა შეესაბამებოდეს შესანახი ნარჩენების ზომას, ფორმას, შემადგენლობას და სახიფათოობის მაჩვენებელს. დაზიანებული კონტეინერების გამოყენება მკაცრად უნდა იყოს აკრძალული. თითოეულ კონტეინერს უნდა გააჩნდეს თავსახური. მავნე ნარჩენები უნდა იყოს იზოლირებული სხვა ნარჩენებისაგან.
- ✓ სახიფათო ნარჩენების კონტეინერები შენახვის ადგილზე განთავსდება იმგვარად, რომ მარტივი და უსაფრთხო იყოს ნარჩენთან წვდომა.
- ✓ შენახვის მიზნით შემოსული სახიფათო ნარჩენების ადგილი საცავში;
- ✓ ადგილები, სადაც გაიგზავნა სახიფათო ნარჩენები დროებითი შენახვის ობიექტიდან.

სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ სახიფათო ნარჩენების დროებით შენახვის ადგილები გადახურულია, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან დაცულია;
- ✓ შენახვის ადგილის ქვედა ფენა (ძირი) დამზადებული უნდა იყოს ისეთი მასალისგან, რომელიც არ შედის რეაქციაში ან არ იწოვს შენახულ ნარჩენებს, წყალგაუმტარია და ითვალისწინებს ნარჩენების დაღვრის/გაფანტვის რისკს;
- ✓ ნარჩენების განთავსებისათვის სასურველია მოეწყოს სტელაჟები და თაროები;
- ✓ სახიფათო ნარჩენების გარემოში მოხვედრის პრევენციისა და კონტროლის მიზნით, დროებითი შენახვის ადგილი აღჭურვილი იქნება მაფრთხილებელი ნიშნებით;
- ✓ კონტეინერი, რომელიც გამოიყენება სახიფათო ნარჩენებისთვის, შენახვის ადგილზე მოთავსდება იმგვარად, რომ ნარჩენებთან წვდომა მარტივი და უსაფრთხო იყოს.

ობიექტის ტერიტორიაზე ნარჩენების დროებითი დასაწყობების მოედნები შესაბამისობაში იქნება შემდეგ მოთხოვნებთან:

- ✓ მოედანს ექნება მოსახერხებელი მისასვლელი ავტოტრანსპორტისათვის;

  ნარჩენების ატმოსფერული ნალექების და ქარის ზემოქმედებისაგან დასაცავად გათვალისწინებული იქნება ეფექტური დაცვა (ფარდული, ნარჩენების განთავსება ტარაში და ა.შ.).;
- ✓ მოედნების პერიმეტრზე გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნები და დაცული იქნება უცხო პირობის ხელყოფისაგან.

- ✓ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად ტერიტორიაზე განთავსებულია სპეციალური ბუნკერი, და გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

## ნარჩენების უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი მოთხოვნები

ვინაიდან კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება სხვადასხვა სახის და რაოდენობის ნარჩენები, მათ შორის - სახიფათო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოქმნილ ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობის ზოგად მოთხოვნებს - ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე შესაძლო ზიანის თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნულის შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია უზრუნველყოფს შემდეგი მოთხოვნების დაცვას:

- პერსონალს, რომელიც დაკავდება ნარჩენების მართვის სფეროში (შეგროვება, შენახვა, მიღება/ჩაბარება და სხვ.) გავლილი ექნება შესაბამისი სწავლება შრომის დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებში;
- პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- პერსონალს უნდა შეეძლოს პირველადი დახმარების აღმოჩენა მოწამვლის ან ტრავმირების შემთხვევაში ნარჩენებთან მუშაობის დროს;
- სამუშაოზე არ დაიშვება პირი, რომელსაც არ ექნება გავლილი შესაბამისი მომზადება, არა აქვს სპეცტანსაცმელი;

ნარჩენების შეგროვების ადგილზე დაუშვებელია დადგენილ ნორმაზე მეტი რაოდენობის ნარჩენების განთავსება. ასევე დაუშვებელია ნარჩენების განთავსება ნაპერწკალ და სითბო წარმომქმნელ წყაროებთან ახლოს;

- ნარჩენების რამდენიმე სახის ერთად განთავსების დროს გათვალისწინებული იქნება მათი შეთავსებადობა;
- ნარჩენების დაგროვების ადგილებში არ დაიშვება უცხო საგნების, პირადი ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლის, ინდ. დაცვის საშუალებების შენახვა, ასევე სასტიკად იქნება აკრძალული საკვების მიღება;
- ნარჩენებთან მუშაობის დროს მკაცრად იქნება დაცული პირადი ჰიგიენის წესები, მუშაობის დასრულების შემდეგ აუცილებელია ხელების დაბანა;
- მოწამვლის ნიშნების შემთხვევაში, სამუშაო უნდა შეწყდეს და პირმა უნდა მიმართოს სამედიცინო პუნქტს და შეატყობინოს ამ შემთხვევაზე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობას.
- პერსონალმა უნდა იცოდეს ნარჩენების თვისებები და ხანძარქრობის წესები. ცეცხლმოკიდებული ადვილად აალებადი ან საწვავი სითხეების ჩაქრობა შესაძლებელია ცეცხლსაქრობის, ქვიშის და სხვ. საშუალებით;

✓

- პერსონალმა უნდა იცოდეს გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების ცნობა, რომლებიც დატანილი იქნება ნარჩენისათვის განკუთვნილ კონტეინერებზე, მასალებზე და სხვა.
- უსაფრთხოების მოთხოვნები და შესაძლებელი ავარიული სიტუაციების პრევენცია ავარიული სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებაზე დაიშვებიან მხოლოდ პირები, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება და ინსტრუქტაჟი.
- პირებმა, რომლებიც არ არიან დაკავებულები ამ სამუშაოებში უნდა დატოვონ სახიფათო ზონა.
- იატაკზე დაღვრილი სახიფათო ნივთიერებები ექვემდებარება გადაუდებელ ნეიტრალიზაციას და მოცილებას, ნახერხის ან მშრალი ქვიშის გამოყენებით. იატაკი უნდა გაიწმინდოს ტილოთი, რის შემდეგ მოირეცხოს წყალში გახსნილი სარეცხი საშუალებით ან სოდის 10%–იანი ხსნარით. ამ სამუშაოების ჩატარების დროს გამოყენებული უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (რესპირატორი, ხელთათმანები და ა.შ.).
- სათავსების იატაკები უნდა იყოს მოწესრიგებული. იატაკის საფარი უნდა იყოს მდგრადი ქიმიური ზემოქმედების მიმართ, რომ გამოირიცხოს მავნე ნივთიერებების სორბცია. იმ სათავსებში, სადაც მუშაობის პროცესში გამოიყენება ან ინახება მავნე ნივთიერებები, გამოკრული უნდა იყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.
- ნარჩენების აალებასთან დაკავშირებული ავარიული სიტუაციის ლიკვიდაციის დროს გამოიყენება ქაფი. ხანძარსაშიში ნარჩენების განთავსების ადგილთან ახლოს მოთავსებული უნდა იყოს ხანძარქრობის საშუალებები.
- აკუმულატორების ელექტროლიტის დაღვრის შემთხვევაში, დაღვრის ადგილი მუშავდება ნახერხით, ნეიტრალიზებული იქნება კირის ხსნარით, ხოლო შემდეგ მოირეცხება წყლით.

## პასუხისმგებლობა ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე

კომპანია ვალდებულია:

- საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე;
- კომპანიის ნარჩენების მართვისათვის საჭირო მოწყობილობით, რესურსით და ინვენტარით უზრუნველყოფაზე;
- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით გამოვლენილი ნებისმიერი დარღვევის ან ინციდენტის შემთხვევაში სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებების შესრულებაზე.

გარემოსდაცვითი მმართველი ვალდებულია:

- განახორციელოს შიდა კონტროლი ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე;
- განახორციელოს შიდა კონტროლი ნარჩენების მართვის გეგმასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- გადახედოს და საჭიროების შემთხვევაში განაახლოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა ან/და კონტრაქტორი კომპანიის შემთხვევაში მიაწოდოს მას სრული და სანდო ინფორმაცია ნარჩენების სახეობების, რაოდენობის, მართვის საკითხებთან და სხვ. დაკავშირებით;
- გაუწიოს ორგანიზება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ნარჩენების მართვის პროცესს;
- იზრუნოს კომპანიის ხელმძღვანელების და პერსონალის მიერ ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების სრულ და სწორ შესრულებაზე;
- ნარჩენების მართვის ასპექტების გათვალისწინებით მოახდინოს გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ეფექტურობის მაჩვენებლების ანგარიშგება ხელმძღვანელთან და გარეშე ორგანოებთან, როგორიცაა სახელისუფლო ორგანოები და კრედიტორები; ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ნებისმიერი დარღვევის ან გარემოსდაცვითი ინციდენტის გამოვლენის შემთხვევაში განსაზღვროს სათანადო მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებები და უზრუნველყოს მათი ადგილზე განხორციელება; - ნარჩენების მართვის ეფექტურობის შესახებ მონაცემები წარუდგინოს შესაბამის სახელისუფლო ორგანოებს, მათი მხრიდან მოთხოვნის საფუძველზე;
- ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, შეიმუშავოს, მიმოიხილოს და საჭიროების შემთხვევაში განაახლოს შიდა პროცედურები; - განიხილოს ნარჩენების განთავსების და მინიმიზაციის ალტერნატიული ვარიანტები; - უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების, შემდგომი მართვის მიზნით, გარემოსდაცვითი ნებართვის მქონე კონტრაქტორი კომპანიის შერჩევა, ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლი;
- უზრუნველყოს ნარჩენების ტრანსპორტირებაზე ხელშეკრულების ლიცენზირებულ გადამზიდავთან გაფორმება, ან/და გარემოს დაცვის სამინისტროსგან რეკომენდაციის/ნებართვის მოპოვება;
- ჰქონდეს მჭიდრო თანამშრომლობა გარემოსდაცვით სფეროში დასაქმებულ პერსონალთან, რათა პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნას ნარჩენების წარმოქმნის შემცირებისთვის სათანადო ზომების მიღება და შემდგომ, ყველა წარმოქმნილი ნარჩენის იდენტიფიცირება, მათი შეგროვების, ტრანსპორტირების და განთავსების პროცედურების განსაზღვრა და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები ფორმით მათი ხელახალი

გამოყენების, აღდგენის, გადამუშავების, მართვის და განთავსების შესაძლებლობების დადგენა;

- უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალისთვის ნარჩენების მართვის გეგმის მოთხოვნების შესახებ ოფიციალური ტრენინგ პროგრამების ჩატარება და გააცნოს ასევე ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი მოთხოვნები.

საწარმოს პერსონალი, რომელიც დაკავებულია ნარჩენების მართვის სფეროში პასუხისმგებელია:

- ნარჩენების მართვის თაობაზე, გარემოსდაცვითი მმართველს მიაწოდოს სრული, სწორი დოკუმენტაცია (ინფორმაცია);
- გაუწიოს დახმარება გარემოსდაცვით მმართველს „ნარჩენების მართვის გეგმის" მოთხოვნების შესრულების პროცესში.
- სახიფათო ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პერსონალის სწავლების ღონისძიებები კომპანიის სახიფათო ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაიარონ ტრენინგი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ან სხვ. არსებულ სასწავლო კურსებზე.
- ასევე უნდა ჩატარდეს შიდა სწავლებები, ადგილობრივი კადრების ან მოწვეული სპეციალისტების მიერ.

სწორი ოპერირების პირობებში ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით გამოწვეული მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი დონის ზემოქმედება.

სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებები:

კომპანიაში მომუშავე ყველა კადრს, რომელსაც პირდაპირი შეხება აქვს წარმოქმნილ ნარჩენებთან, ჩაუტარდება შესაბამისი სწავლება სახიფათო ნარჩენებთან მოპყრობის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველი მოახდენს კადრების დამატებით გადამზადებასა და ინფორმირებას.

## ნარჩენების მართვის გეგმის მონიტორინგი

ნარჩენების მართვის მონიტორინგის დროს მოხდება ნარჩენების მართვის კონტროლი, ტერიტორიების და სახიფათო ნარჩენების განთავსების ადგილების ვიზუალური დათვალიერება.

მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეფასდება ნარჩენებით გარემოზე ზემოქმედების რისკები, განისაზღვრება მათი შემარბილებელი ღონისძიებები; შეფასდება ნარჩენების

მართვის გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ეფექტურობა. შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში შემუშავდება მაკორექტირებელი ქმედებები.